ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 176

"24" ივლისი 2020 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, კოტე აფხაზის ქუჩა №17-ის მიმდებარედ 13 კვ.მ. მიწის ნაკვთის (საკადასტრო კოდი: №01.18.03.038.040) პირდაპირი განკარგვის წესით ნელი მუხულიშვილისთვის (პ/ნ: 13001012540) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, კოტე აფხაზის ქუჩა №17-ის მიმდებარედ 13 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.03.038.040) პირდაპირი განკარგვის წესით ნელი მუხულიშვილისთვის (პ/ნ: 13001012540) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 6 ივლისის №20.703.880 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, კოტე აფხაზის ქუჩა №17-ის მიმდებარედ 13 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.03.038.040) პირდაპირი განკარგვის წესით წესით ნელი მუხულიშვილისთვის (პ/ნ: 13001012540) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 2 340 (ორი ათას სამას ორმოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე